№ 37 თებერვალი 18, კვირა 1890 თებერვალი 18, კვირა № 37

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

სურათებიანი

„ვეფხის-ტყაოსანი“

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

გ. დ. ქართველიშვილის მიერ

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში — ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესების შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

ტფილისი, 17 თებერვალი

დიდი რამ არის ვინც იცის კარგად წაკითხვა წასაკითხისა. ერთი ფრიად სასიამოვნო და ფრიად სასარგებლო ხელოვნება კარგად წაკითხვაა და ვისაც ამ ხელოვნების უნარი აქვს, შეუძლიან სთქვას, რომ მეც მომმადლებია მადლი ღვთისაგანაო, არც მე დავიწყებივარ ჩემს დამბადებელსაო. კარგად წაკითხული სიტყვა ერთი ათად ამღიერებს აზრსაც, გრძნობასაც, რადგანაც ერთსაცა და მეორესაც მეტის მეტად ამშვენიერებს და ამკობს, აცხოველებს და აფერადებს. ამის გამო ხელოვნური, კარგი წაკითხვა არა მარტო სასურველია, სასარგებლოც არის ნამეტნავად იქ, სადაც წასაკითხს საქმე გრძნობასთანა აქვს, სადაც სიტყვამ გულამდე უნდა მიაღწიოს მთელის სავსეობით, მთელის თავის სიღრმე-სიგანით, მთელის თავის მხურვალებით, რომ გული მისძრას-მოსძრას, ჩვეულებრივ თვლემისაგან გამოაფხიზლოს და ფრთა შეასხას ან ნელისა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის, ანუ რისხვისა და წყრომის ქარ-ტეხისა და ქუხილისათვის.

მძლიერია თავის თავადაც სიტყვა. ხოლო რაც გინდ ზედ-მიწევნილი იყოს, რაც გინდ ზედ-გამოჭრილი, რაც გინდ მოსწრებული, სიტყვა ბუნებითად მაინც უძლურია მთელი „მზიან-ჩრდილიანობა“ გრძნობისა გამოსთქვას უმეტ-ნაკლებოდ. სიტყვას, მთელის ხელოვნების მეოხებით მორთულსა და გაწყობილს, მაინც ბევრი იმისთანა ჰრჩება გამოუთქმელად, რაც მთქმელის გულში ჰბგერს და სძგერს და რაშიც საკუთრივ არის ძალ-ღონე მთელის ასე თუ ისე გამოსათქმელ გრძნობისა. სიტყვა, ენა კაცისა უღონოა უოკვლიოდ ეს აღმობეჭდოს იქამდე ზედ-მიწევნით, რომ მსმენელმა იგრძნოს მთელი სავსეობა გულის ძგერისა. მარტო შეწყობილს, შეფერებულს ხმას ადამიანისას ანუ, უკეთ ვსთქვათ, წაკითხვას შეუძლიან გაუწიოს სიტყვას იგი სამსახური, რომ საიდუმლო გამოუთქმელი ბგერა, ძგერა და მოძრაობა გულისა გამოამეტყველდეს და მთქმელისაგან მსმენელს გადაეცეს სავსედ და უნაკლულოდ.

აქ ხმა სიტყვას ჰშველის და სიტყვა ხმასა. მოჭარბებული არ მოგვივა ვსთქვათ, რომ აქ ცოტად თუ ბევრად სიტყვიერება ჰმუსიკობს და მუსიკა ჰსიტყვიერობს. სწორედ მუსიკა და სიტყვიერება აქ ხელი-ხელ ჩართულნი არიან საყვარელ დასასავით, რომ ერთმანეთის შემწეობით ერთიანი გრძნობა აღმოშობონ მთელის ზედ-მიწევნილობით და ძალ-ღონით. ტყუილად კი არა სთქვა სახელოვანმა ლესინგმა, რომ პოეზია ენა-მეტყველი მუსიკაა და მუსიკა უტყვი პოეზიაო. აქ რომ სიტყვა „პოეზია“ „სიტყვიერებად“ შევცვალოთ, დიდი შეცდომა არ მოგვივა, იმიტომ რომ ხმა-შეწყობილი გამოთქმა სიტყვისა, თუნდ უბრალო ლაპარაკში, თუ მთლად მუსიკა არ არის, მისი ერთი დარგია მაინც, რადგანაც მის კანონს ცოტად, თუ ბევრად ექვემდებარება.

ასეა თუ ისე, ვერავინ ვერ იტყვის, რომ კარგად წაკითხვა წასაკითხისა ბევრს არ ჰმატებდეს წაკითხულსა და ბევრ რიგად სასურველი არ იყოს ყველგან საერთოდ და იქ ცალკე, სადაც გრძნობა გრძნობას ელაპარაკება, რომ გული აღიძრას ნელისა და წყნარის აღტაცებისა და სასოებისათვის, როგორც ზემოდა ვსთქვით. ეს ამისთანა ადგილი ეკკლესიაა, რომლის ზარი მიიწვევს ხოლმე ხალხს ლოცვისათვის, და წასაკითხი კიდევ საღმრთო წერილია, რომლის მადლ-მეტყველებამ უნდა განმსჭვალოს მთელი კრებული მლოცველთა ერთიანის სასოებითა და ღვთის მიმართ აღმაფრენით.

ჩვენთა წინაპართა კარგად ესმოდათ-რა დიდი ზედ-მოქმედება აქვს კარგად წაკითხულს საღმრთო წერილს ეკკლესიაში, სადაც დიდება და სახელი ღვთისა შეჰკრებს ხოლმე ღვთის მოსავს ხალხსა საერთო ლოცვისა და ვედრებისათვის. კარგად ესმოდათ და მეტადრეც აფასებდნენ კარგად მკითხველს მღვდელს, მთავარს, თუ დიაკვანსა. ჩვენ ზოგიერთი იმისთანა მაგალითებიც ვიცით, რომ ყმობიდამაც-კი განუთავისუფლებიათ კაცი მარტო იმისთვის, რომ კარგი კითხვა სცოდნია საღმრთო წერილისა. ბევრს, უკვე განსვენებულს მოძღვარს, დღესაც პატივისცემით ახსენებს ქართველობა კარგის კითხვისათვის. მამა ტარასის, დანიელ ზურიაშვილს და ბევრს სხვას დღესაც ბევრნი ჰნატრულობენ და ქებითა და პატივისცემით იხსენიებენ.

ჩვენი უწინდელი სამღვდელოებაც იმის ცდაში იყო, რომ კარგად გაწვრთვნილ ყოფილიყო კითხვაში. მათ კარგად იცოდნენ, რომ, როცა ვლოცულობთ, ღვთის მიმართ ხელთ აღპყრობა, სარწმუნოებრივი აღტაცება, გულითადი სასოება, გულის ძგრა მადლისა და სიკეთისათვის ბევრად დამოკიდებულია საღმრთო წერილის კარგად წაკითხვაზედ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ეკკლესია სახლია ღვთისა, სადაც ხალხი თავს იყრის, რომ მღვდელ-მსახურთა წინამძღოლობით ერთად ილოცონ, ერთად ევედრონ, ერთად იგემონ ის წყნარი და უცოდველი სიტკბოება, რომელსაც გაღვიძებული გრძნობა სარწმუნოებისა მოუვლენს ხოლმე ღვთის მოსავს ადამიანს. აი რა მი[illegible], რა მიიწვევდა ხოლმე ჩვენში [illegible] წირვა-ლოცვაზედ. უწინდელ [illegible]

# ფელეტონი

* * *

მიუვალს სიმშვიდე ბუნების,
შუქი მზის მილეულისა,
ღიღინი ნაღვლიანის ხმით,
თავისუფლება გულისა,
გამოთქმა წყნარის სიტყვებით
სევდისა დაფარულისა,—
ხან აღელვება გრძნობათა,
ხან დამშვიდება სულისა!..

—

ველი ფერსები მინდორ-ველს,
მწვანით შემოსილ არესა,
მდინარეს — ცოცხალს, ანკარას —
ტყის პირად მომჩქეფარესა,
ცას მოკაშკაშეს, ლაჟვარდას,
მოთიღისმებულ მთვარესა,—
ხან რომ შორს მაფრენს ოცნებით,
ხან რომ დარდს მაწვევს მწარესა!..

ზაყელი

## სცენა

სოფლის სასამართლოში

(სცენა წარმოადგენ უბრალო ოთახს. შიგ გამართულია ტახტის, რომელსაც წინ ოთხკუთხიანი სტოლი უდგას დაგლეჯილ სუფრა-გადაფარებული. სტოლზე სამი ბეჭედი ძევს და სტოლის გარშემო რამდენიმე ხის სკამია შემორიგებული. ტახტზე სხედან სოფლის მსაჯულები, ჩიბუხები სტოლზე გადმოუწყვიათ და მოჩივართ სამართალს აძლევენ).

1 მსაჯული (ცოტა გადაკრულში). დადგება კვირა და ჩვენთვის! ამ ოხრების საჩივარს ბოლო აღარ ელება. ვიცი, რომ დღეს მზის ჩასვლამდე უნდა ვისხდეთ და ბებერი დათვებივით ვიბურტყუნოთ. ამისთვის წინადვე დავენაყრდი. ბედზე სირაჯს ღვინო მიუწყე და ცოტა ყელი ჩავისველე-ყე. (ჩიბუხს ამოსწევს და მეორე მსაჯულს) შენ როგორ-ღა ხარ, როსტომა?

2 მსაჯული. ისე შენი მტერი იყოს! რაღა როგორა ვარ, კაცო, განა არ იცი წლევანდელი ჩვენი მოსავალი! იმის ზედაშის მადლმა, ერთი სამ ჩაფიანი ქოცო მქონდა, ის ძლივ ავავსე-ყე; ისიც წმინდა გიორგის — ვენაცვალე იმის მადლს! — იმის სახელზე მაქ შენახული. წაიღა, გაქრა, შეილოსა, ჩვენი კახეთის ხეირ-ბარაქა! ღმერთისა რომ არ მეშინოდეს, ლამის არი იოხერი ვაზები ძირიანად გადავკაფო და სიმინდი დავთესო; რა ჰყრია, სთოხნი, ჰყელავ, სხლავ, ფურჩქნი... ახლა ჰიგოს ფასი... ამბობ, ჰა, ეხლა მეშველებაო! ერთიც გაჰხედავ და,— აქა-იქ-კი აბია თითო-ოროლა მარცვალი. დაილოცოს ღვთის სამართალი, რაღა ამ გაჭირებისა და ფოსტის ფულის „იდაიმკების“ დროს აიღო ჩვენზე ხელი იმ დალოცვილმაც.

3 მსაჯული. კაცო! რაღა მოჰყვით წუწუნს? ხალხი გელით, ჰხედავთ როგორ ყაყანებენ, დავიწყოთ ყე საქმე.

1 მსაჯული (მწერალს). აბა, ტიტი, ვისი საჩივრებია დღეს? გადაათვალიერე და მოითხოვე-ყე.

მწერ. (ქაღალდს სინჯავს) პირველი სამი საქმე უგულაძისაა! გოგილაძესა და ათანაშვილებს უჩივის პურ-ღვინოზე.

1 მსაჯული. გზირო!

გზირ. ბატონო!

1 მსაჯული. ათანაშვილებს და გოგილაძეს დაუძახე, ჩქარა!

გზირ. ეხლავ, შენი ჭირიმე (გარეთ ისმის მახილი: „ათანაშვილებო! გოგილაძე! სუდიები გიძახიან“).

3 მსაჯული. ე დალოცვილ უგულაძეს საქმესაც ველარ ავდივართ. ისე „რაზბორი“ არ იქნება-ყე, რომ იმისი არა ერიოს-რა. (შემოვა უგულაძე თბილად ჩაცმულია, ცოტა ავადმყოფობს).

მსაჯული და მწერ. მობრძანდით, ბატონო! (ადგილს დაუთმობენ).

უგულაძე. ძმობას გეფიცებით, შეუძლოთა ვარ, სიარულის სახსარი არა მაქს. ისე გამიჭირა საქმე ამ ოხერმა თავისტკივილმა — მიგრენმა, რომ დღეს საქმეს მომაცდინა (დაჯდება). რა ჰქენით, სუდიებო ჩემი საქმისა? ერთი თქვენ სამადლოდ ჩააგონეთ იმ სულელებს სხვაგან ნუ მაჩივლებენ, თორემ, ხო იცით, როგორი ქაღალდები მიჭირავს?

გოგ. და ათ. (შემოვლენ და სალხსი ბლომად შემოჰყვებათ) სუდიებს გაუმარჯოს!

1 მსაჯული. ბიჭო, რათ აჩივლებინებთ ამ კაცს? რატომ არ უანგარიშდებით, შვილოსა?!

გოგილ. რა ვქნათ, შენი ჭირიმე, აი მაგის მოცემული „ლაპისკა“ წაიკითხეთ და თუ დამეკისროს რამე, გადამახდევინეთ-ყე (ქაღალდს ამოიღებს და მწერ. აწვდის).

უგულაძე. მე თქვენა გთხოვთ, ჯერ ჩემი ბარათი წაიკითხოთ და, რაც შიგ ნაჩვენებია, კანონით წარმართოთ საქმე.

გოგ. მოიცა, ბატონო! მე ათასი თუმანი ფულიც მქონია და დღეს... ეჰ! დაჩაგრული ვარ-ყე, მაგრამ ტყუილს არ ვიტყვი. მე შენი მემართა ორი თუმან ნახევარი, ერთის თვის ვადით. ორი თუმანი მაშინვე მოგართვი-ყე, დარჩა ხუთი მანათი, აგერ ხუთი წელიწადია. შენ ჩემი გემართა, ხუთი კოდი პური, ისიც ხუთი წელიწადია, რას მემართლები შე დალოცვილო! ჩემი ხუთი კოდი პური მამეცი და შენი ხუთი მანათი მიირთვი-ყე.

უგულაძე. (იქ მყოფ აზნაურებს მიუბრუნდება) Вы видите, какъ онъ разсуждаетъ? Это я вамъ скажу, это... Когда это настанетъ мдивапбегство! (მსაჯულებს) არა, მე თქვენა გთხოვთ, ჩემი ბარათი წაიკითხოთ და ისე დაადგინოთ „რეშენია“.

2 მსაჯული (მწერალს) წაიკითხე, ტიტი!

მწერ. (კითხულობს) მე, გოგილაძემ ვისესხე შენ, უგულაძისაგან ოცდა-ხუთი მანათი ფული, უკეთუ ვადაზე არ ჩავაბარო, ვიყო ერთი-ორად გადამხდელი. ხელს ვაწერ...

უგულაძე. ხომ გაიგეთ, ბატონო სუდიებო, რომ ერთი-ორად ვიყო გადამხდელიო? მაშ მაგან ხუთი თუმანი უნდა გადამიხადოს.

გოგ. ეჰეი! ის ორი თუმანი რომ მაშინვე მოგართვი, ის აღარაფერი, რაღა?! ჰაი გიდი ჰა მთელ სოფელს როგორც გინდა ისე ატრიალებ! (მწერალს) ახლა ჩემი წაიკითხე-ყე.

მწერ. (კითხულობს) მე უგულაძემ ვისესხე შენ, გოგილაძისაგან ხუთი კოდი პური, ეს პური შენს პირველ მოთხოვნილობის უმალვე უნდა ჩაგაბარო, უკეთუ ვერ ჩაგაბარე, ვიყო ერთი-ორად გადამხდელი... ხელს ვაწერ...

უგულაძე. ხომ გაიგეთ ბატონებო, რომ პირველ მოთხოვნის უმალვეო? აბა ჰკითხეთ, როდის მოიტანა ურემი და არ მივეცი თავისი პური.

1 მსაჯული. მიიტანე როდისმე, ბიჭო, ურემი?

გოგილაძე. რას ამბობ, კაცო; ურემი რას მიქვია? მაგან როდის ლა მთხოვა თავის ხუთი მანათი და მე არ მივეცი? ჩემი პური ხუთი წელიწადია მაგასთან არის. რას მედავები, კაცო! იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ეგ წყალ გაღმა მედავება, რომ წყალ-გამოღმა დაინარჩუნოს? მაგისგან მე მერგება და მე მთხოვეთ კიდე?

უგულაძე. ხომ გაიგეთ, ბატონო სუდიებო, ისე გელაპარაკებათ, ვითომ თქვენ კანონი არ იცოდეთ! გთხოვთ ჩემი ქაღალდი ძალაში შეიყვანოთ

იესო ქრისტემ ბძანა, სადაც ორი და სამი შეიკრიბებით სახელითა ჩემითა, მეც თქვენთანა ვარო და ეკკლესიაშ, წირვასა თუ ლოცვა; უნდა გვაგრძნობინოს ჩვენთან ყოფნა ქრისტესი, როცა ერთად თავ-მოყრილი ვართ ეკკლესიაში. ამას მარტო კარგად და სასოებით გამოთქმულ ლოცვით, კარგად და სასოებით წაკითხულ სამღვთო წერილით გვაგრძნობინებს ხოლმე იგი წმინდა საკრებულო, რომელსაც სახლი ღვთისა ჰქვიან. აი მიზეზი, რომ დიდი და პატარა უწინდელ დროში მიისწრაფებოდა ეკკლესიაში სალოცავად, როცა წირვისა, თუ ლოცვის ზარი სამრეკლოდამ გაისმაურებდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ქართულად კარგი მკითხველი სამღვთო წერილისა იშვიათია და ძნელად მოიპოვება ჩვენს სამღვდელოებაში. დღეს აღარავის არ მიაჩნია სასიქადულოდ კარგად კითხვა ეკკლესიაში და ეს არ ცოდნა კითხვისა მით უფრო უნდა ემძიმებოდეს სამღვდელოებას, მით უფრო შესაწუხებელი უნდა იყოს, რომ, თუ სულ არა, ბევრში მაინც ამაზეა დამოკიდებული მეტ-ნაკლებობა სარწმუნოებრივის გრძნობისა, რომელსაც ეკკლესია დღე უოველ უნდა აღვიძებდეს და აძლიერებდეს. ამისათვის სამღვდელოებას ხელთა აქვს ის დიდებული, მშვენიერი სიტყვიერება ქართულის სამღვთო წერილისა, ქართულის ლოცვებისა, რომლის მალა, რომლის ზედ-მოქმედება გულს თავის ბუდეში სასოებით შესძრავს ხოლმე, როცა კარგად წაკითხულია, კარგად გამოთქმულია.

ჩვენ კარგა ხანია არ გაგვიგონია ჩვენის სამღვდელოებისაგან კარგად თქმული ლოცვა, ან კარგად წაკითხული სამღვთო წერილი ეკკლესიაში. არც არსაიდამ ისმის-ღა ხმა, რომ ამისთანანი დღეს იყვნენ სადმე. სამწუხაროა ეს ამბავი და მით უფრო მადლობით სახსენებელია მთავარ-დიაკვანი კარგარეთელი, რომელმაც დ. ბაქრაძის დასაფლავების დღეს წაიკითხა წმინდა სახარება. მან დაგვანახვა, რომ ჯერ კიდევ—ღვთის მადლით—ჩვენ, ქართველები, არ გამოვკლებივართ მშვენიერს კითხვას, რომ ჩვენში არიან კიდევ იმისთანა ღვთის მსახურნი, რომელთაც მომადლებული აქვთ ნიჭი და ცოდნა დიდებული მეტყველება სამღვთო წერილისა მსმენელთა გულში უმეტ-ნაკლებოდ აღბეჭდონ და ღვთის მიერ აღთქმული ნუგეშინის ცემა და სასოება ხსნისა უნუგეშოს და უსასოოს ღვთის მოსავს მიჰმადლონ. მთავარ დიაკვანმა კარგარეთელმა თავის სასახელოდ ეს შესძლო და, ეს ვით იშვიათი ამბავი, მეტი არ არის, რომ ჩვენ ჩვენს მატიანეში შევიტანეთ ჩვენის სამღვდელოების სამაგალითოდ და საყურადღებოდ.

## ახალი ამბავი

*** ხვალ, ამ თვის 19, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი ბატონ-ყმობის მოსპობის დღის სახსოვრად სიონის საკათედრო ტაძარში პანაშვიდს გადაიხდის გარდაცვალებულის ხელმწიფე იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება თორმეტ საათზე.

*** ორშაბათს, 26 თებერვალს, ტფილისის დედათა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთის შემწეობის საზოგადოებისა. გასახილველია სხვა-და-სხვა საგანი ამ საზოგადოების მოქმედებისა და იმის საქმეთა წარმოებისა. ამ კრებაზედვე უნდა იქმნან არჩეულნი: თავმჯდომარე, მდივანი და წევრნი გამგეობისანი.

*** ტფილისში ქალაქის ხმოსანთა არჩევანები, როგორც ამბობენ, დანიშნულია წელს შემოდგომისათვის.

*** ხარკოვის ქართველი სტუდენტობა გვწერს დეპეშით: გამოუთქმელმა მწუხარებამ შეგვიპყრო ჩვენის მხცოვანის ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების გამოო. გულითა ვწუხვართ და ჩვენს მწუხარებას ვუცხადებთ განსვენებულის ნათესავთა და აგრეთვე მთელს საქართველოს, რომელმაც დაჰკარგა უკეთესი თავისი შვილი.

*** პარასკევს, ამ თვის 16, პოლიციის მეხუთე განყოფილების კანცელარიაში მოვიდნენ მამიკონოვის ნათესავნი და უნდოდათ მიეღოთ პოლიციისაგან მოწმობა ბ-ნ მამიკონოვის დამარხვისა, რომელიც ამ თვის 11 უცბად გარდაიცვალა. ამასთან მამიკონოვის ნათესავებმა პოლიციას წარუდგინეს ბარათი, რომელიც ექიმ რუდკოვსკის მიეცა. ავადმყოფ მამიკონოვის სამკურნალოდ მიწვეულნი ყოფილიყვნენ ექიმები სიკვდილამდე. ექიმებს ვერა ეშველათ-რა და ბოლოს გადაეწყვიტათ, რომ ბ-ნი მამიკონოვი საწამლავით მოკვდაო. პოლიციამ ამოიკითხა თუ არა მოწამლის ამბავი, გაეშურა მიცვალებულის სადგომისაკენ, რომელიც ოქრომჭედლების ქუჩაზედ იმყოფება. მიცვალებულის გვამი პარასკევ ღამესვე პოლიციას უნდოდა საანატომიო თეატრში გაეგზავნა, მაგრამ ნათესავთა თხოვნის გამო დროებით იქვე დასტოვეს. მამიკონოვი აქამდე დაუმარხავია და პოლიციას გამოძიება აქვს, რათა შეიტყოს მიზეზი ამ ოც-და-სამის წლის ყმაწვილის კაცის გარდაცვალებისა. ქალაქში ბევრი ჭორი დადის, მაგრამ დაჭეშმარიტებით არავინ იცის, თითონ მოუწამლავს გარდაცვალებულს თავი, თუ სხვებს უმტრიათ და საწამლავი შეუპარებიათ.

*** ხუთშაბათს, 15 თებერვალს, ტფილისის საარტისტო საზოგადოების სადგომში დანიშნული იყო საზოგადო კრება ამ საზოგადოების ნამდვილ წევრთა. კრების თავმჯდომარემ ე. ი. ფუთოევმა მოახსენა კრებას, რომ ჩვენის კლუბის შარშანდელ დეფიციტის 3,000 მან. გადახდა ნამდვილმა წევრებმა იკისრეს და თითოს 66 მან. შემოტანა შეხვდაო. შემდეგ თავმჯდომარემ წარუდგინა კრებას ტფილისის საოპერო თეატრის ანგარიში 1889 წ. 1 მარტიდგან 1890 წ. 12 თებერვლამდე. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ამ ხნის განმავლობაში შემოსულა 91,809 მან. 63 კაპ. დეფიციტი ჰქონიათ ამ $18^{89}/_{90}$ წ. 20,000 მანეთი, რომელიც ხაზინის სუბსიდიიდგან გადაუხდიათ. შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ ოპერავე მოვიწვიოთ მერმისს, თუ დრამატიული წარმოდგენები ვმართოთო. უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ოპერა სჯობია, თუ დეფიციტი მომავალ სეზონისა 11,000 მან. არ აღემატებაო. ამ სურვილის გამოცხადების გამო ეს საგანი ერთიან ვერ გადასწყვიტეს და საშემდეგოსოდ გადასდეს, ის-კი დაადგინეს, რომ მუსიკა და ხორო ეხლავე მოვიწვიოთ და შევეკრათ პირობით, რადგან, სულ ერთია, ოპერა გვეყოლება, თუ დრამატიული დასი და საოპერეტო, ყოველ შემთხვევაში საჭირო იქნებაო. რაც შეეხება იმის გადაწყვეტას, საოპერო დასი ვიყოლიოთ, თუ დრამატიულიო, ამის შესახებ უნდა მოელაპარაკონ არტისტებს, საარტისტო საზოგადოებათა და ანტრეპრენიორებს, როგორც საოპეროს, ისე დრამატიულ დასისას.

*** სოფ. ნიქოზი (ქართლი): აქ ერთს კვირაში ორი კომლი კაცი დასვეს ცარიელზე ქურდებმა. ერთის გლ. კ—ძეს დარბაზიდგან გაიტანეს, რაც რამ ებადა. მეორის სამჭედლო დუქნიდგან გლ. გ—ძესი გაიტანეს სულ მთლად იარაღი, რკინეულობა და ავეჯი, რაც-კი იპოვებოდა დუქანში. მცხოვრებლებმა, როგორც უკვე იყო ნათქვამი გაზეთში ამას წინად, იციან ვინ არის ქურდი ან აქ და ან ფრონის ხეობაზე და ბ-ნ ნს ბოქაულსაც და. წერილებით აცნობეს ესე ყოველივე, მაგრამ მაინც კიდევ არა გვეშველა-რა. აქამდე ცხინვალის საბოქაულოზე ვიყავით მიწერილი, ცხინვალი ძრიელ ახლოა ჩვენზე. ახლა-კი სხვა საბოქაულოზე მიგვაწერეს გაღმა, საცა-ღა ხელთუბანს, თუ ტყვიავს. ქურდობაც უფრო ამას შემდეგ გახშირდა.

*** მოსკოვი: ქართულმა სიმღერებმა, რომელიც აქაურებმა მოისმინეს ქართველობის მიერ აქ გამართულს კავკასიურს საღამოზე, დიდს აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება მოსკოვისა. მეტადრე პროფესორები და გაზეთები იყვნენ აღტაცებულნი. „Руск. Вѣд.“-ებს გარდა, აღტაცებული რეცენზია წარმოდგენისა დაბეჭდა მეორე-მესამე დღეს გაზ. „Моск. Вѣд.“-მ, „Новости Дня“-მ და სხვათა. პროფესორი ვესელოვსკი დიდად ნასიამოვნები დარჩა და სთქვა, რომ ამ საღამოს შესახებ დავწერ წერილს ჟურნალ „Артистъ“-შიო. პროფესორი კორშიც აღტაცებული იყო და სთქვა, «Газета Гатцука»-ში მოველაპარაკები მაგ საგანზე მკითხველებსაო. რა ესენი, რა სხვანი, წარმოდგენაცა და ქართული სიმღერებიც დიდად მოსწონდათ პროფესორებს: ჩუპროვს, იანჟულს, მილლერს, ნერსესოვს, ლამბაროვს და სხვათა.

*** იქიდამვე: აქაურ ჟურნალის „Этнографическое Обозрѣніе“-ს რედაქციას ფიქრად აქვს ნოტებად დააწყობინოს ქართული ხმები და თავის ჟურნალის ერთ-ერთს წიგნში დამატებად ჩაურთოს. პატივცემულის ჟურნალის რედაქცია დიდის ცნობის-მოყვარეობითა და ინტერესით ეკიდება ყოველივე, რაც საქართველოს, მის ისტორიასა, ლიტერატურასა და ეთნოგრაფიას შეეხება, და დიდად სწუხს, რომ ახალი ქართული და რუსული წიგნები არ მოსდით ჩვენის ქვეყნის

---

(მსაჯულები მოჰყვებიან ჩურჩულს. ასტყდება ხალხში ყაყანი).

ზოგნი. კაცო! დამხსენ ე ოხერი ლორები, რა გინდა, შეილოსა, ჩემგან? ვენახი სულ გამიოხრეს, შენთვის ხომ არ მიჭირნახულია-ყე. თუ არა და მოვკლავ-მეთქი. აი სუდიებს „ზაავლენიაც“ მივართვი. ახლა შენ იცი.

მეორეები. არ იქნება, ხალხნო, არა! ეგ „ბორჩიკობიდამ“ გამოცვალეთ. ხომ ვერ დალუპავთ ამოდელა სოფელს! ის სათემო მიწების ფულიც აკრიბეთ...

1 მსაჯული. გაჩუმდით, ხალხნო! დაგვაცათ ე ოხერი «რაშენია» გამოვიტანოთ, თორემ სუ თითო მანათ სწრაფ დაგაწერ-ყე. (ხალხი გაჩუმდება, ისმის კვლავ მსაჯულების ჩურჩული).

მსაჯული (გოგილაძეს) მოდი, ბიჭო, ერთი თუმანი კიდევ მიართვი ა პატიოსანს კაცს და მორჩი და მოისვენე.

უგულაძე. არა, მე თქვენა გთხოვთ, რაც შიგ სწერია, სრულიად გადაახდევინოთ.

გოგილაძე. რას ამბობ, შე დალოცვილო! ყაბულს არა ვარ, ძმაო! (მწერ.) მამე ჩემი ოხერი ქაღალდები, სადაც უნდა, იქ იჩივლოს.

უგულაძე. თანახმა არა ხარ? არა? ერთი მითხარ, მადლიერს არა ხარ, რომ ასე გადასჭრეს? მაშ თუ შენ სრულად არ გადაგახდევინო და მე კაცი არა ვყოფილვარ!

მსაჯულები. მოდი, ბიჭო, დასჯერდი, ნუ ხარ ადუხჭირი. რა გინდა, შეილოსა, აიღე ერთი თუმანი, მიე და მოშორდი.

გოგილაძე. ეჰ! რა ვქნა, თქვენ ხელში ვარ... რახან მაგრე გადასჭერით, რაღა გაეწყობა. მაგის დარდი მაინც ის იყო, რომ ის პური გაეცურებინა, (უგულაძეს) ჰაი, დედასა, შენი წონა ფულები მინახავ, მაგრამა... (ხელებს გაშლის) ეჰ, მადლობა ღმერთსა! (გაგა)

1 მსაჯული. ბიჭო! ერთ კვირაზე მაართვი ი ფული, თორე მერე ველარას გიშველით, აი!

გოგილაძე. ვიცი, შეილოსა, ვიცი!

1 მსაჯული. ბიჭო, ათანაშვილებო, რატო არ უსწორდებით ამ კაცს?

ათანაშვილები. მაგის ხელთ არა ვართ, შენი ჭირიმე, რა გვითქვამ ყე, რო არ გაუსწორდეთ.

უგულაძე. ერთი ჰკითხეთ, რა ჰმართებთ მაგათ ჩემი?

ათანაშ. შე დალოცვილო, შენთანაც ხომ ტყუილს ვერ ვიტყვით. ათი ჩაფი ღვინო გისესხებია, ვინ რას მოგახსენებს.

უგულაძე. ათი ჩაფიო!? ბარე თქვით, შენი არა გვმართებს-რაო და მეც ხელს ავიღებ.

ათანაშ. არა, ბატონო, უარს რად ვიტყვი, მხოლოდ, თქვე დალოცვილებო, სარგებელს ძაან ბევრსა გვთხოვთ: ერთი ერთ ნახევრადაო. და, ჩვენც ცოდონი ვართ.

მსაჯულები. მორიგდით, მორიგდით.

ათან. კარგი, ბატონო, განა უცხო ხარ-რა; ნათლია ბრძანდები, როგორღა გეიჩივლე? სახლიც რო ერთიან წაილო, ვინ არის ხმის გამცემი? (ხალხში არეულობა ჩამოვარდება).

გზირი. (გრძელ ჯოხს იქნევს) შორ, შორ, გადექით, გზა უყავით! (ხალხი გზას მისცემს და შემოდის ახალგაზრდა, კარგად ჩაცმული ქვრივი).

მამასახლ. (ადგილს დაუთმობს) მობძანდით, ბატონო! თქვენ ვინ, აქაურობა ვინ?

ქვრივი (ოდნავ თავს დაუკრავს). ბატონო სუდიებო! ეს ვექსილები დაშინჯეთ და ვისაც რა ემართოს, გადაახდევინეთ. მე-კი, აბა რა გავაკეთო აქ, თქვენს სინიდისს მოვენდობივარ.

1 მსაჯული. ბატონი ბძანდებით, ჩვენ გადავახდევინებთ. თუ არ მოვიდნენ, „ზაოჩნა რეშენიას“ გაუგზავნით და, თუ პასუხი არ შემოიტანეს, „ლიჭტ“ მოგართმევთ.

გზირი (ქვრივი რომ გაბრუნდება). შორს, შორს, გზა უყავით; ჰაი გადაგრიოთ, ჩემმა გამჩენმა!

ზოგნი. ეჰეი! რა მადიანია... ისე ფარფაშობს, გეგონება დიდი კნიაზის ქალიაო.

3 მსაჯული (უგულაძეს) რა ჰქენით, ბატონო, ათანაშვილების საქმე? ცოტაც აპატიე, ხო მოგეხსენება წრევანდელი მოსავალი, მადლია.

უგულაძე. აი, ბატონებო, თუ მე ეგენი არ შევიბრალო, ღმერთმა... რა ვიცი... რა ვიცი... მაგათ ჩემი მართებთ თხუთმეტი ჩაფი. არ შეუძლიანთ? დარჩეს მეორე სთვლამდე; მხოლოდ ბარათი მამცენ, რომ ერთი ერთ ნახევრით ჩამაბარონ, ე. ი. ოც-და-ორ ჩაფ ნახევარი.

ამაზე მეტი სიკეთე რაღა უნდათ?!

ხალხი. აი, მე და ჩემმა ღმერთმა, იკურთხოს შენი მარჯვენა!

ათანაშ. (ცოტა ფიქრის შემდეგ) რას ამბობთ, ხალხნო! ვერა ხედავთ სადა შეუკიდა; ათი ჩაფი ოც-და-ორ ნახევრად გადაიქცა? (უგულაძეს) განა შე დალოცვილო, უჩივლელად-კი ვერ მოვერიგდებოდით. აი მობძანდით და გარეთ მოვილაპარაკოთ (გავლენ. მსაჯული თან გაჰყვება).

გზირი. (გარეთ) ე-ე-ე! ი აზრია რა გაჩქარებული მორბის: ეტყობა ძაან საჭირო საქმე აქ.

აზრია. (შემოვარდება ქუდ-მოხდილი) მოიცათ, კაცო!

ხალხი. ქუდი მოიხა, კაცო! შენ ქოხში ხო არა ხარ, ვერა ხედავ კანცელარიაა?

აზრია. მოიცათ-ყე, ქუდისა ვის სცხელა. (მსაჯულებს) კაცო, რატომ არას ეტყვით ი უნამუსო ჭიჭიაშვილს!

მსაჯული. რა არი, რა ამბავია?

აზრია. ღმერთმა არ იცის იმიჰ თავი და ტანი! გუშინ საღამოს ჩემი გასათხოვარი გოგო კინაღამ გამიბიაბრუა იმდენი დაელია-ყე, რო გზასაც ველარ იკვლევდა. ჩემ ტასიას მაჯაში ხელი ჩაჰკიდა, მეც იქავ ვარ-ყე, რო ჩაჰკიდა და... ერთიც ტასიამ: „მამიო“. ვეცი-ყე, აი შე აგეთო, იგეთო-მეთქი, მაგრამ გამასწრო-ყე. ამ დროს ი თქვენი ნათლიდედაც მოვიდა. ერთი ხელში ჩამეგდო, მერე მე ვიცოდი, ჭიგოთი როგორ გაუხეთქდი თავსაო.

მაგრამ მე კიდე ვირჩიე — ვიჩივლებ-მეთქი. სუდიები ხართ, კაცო, მე ჩემ «აბიდას» ვითხოვ-ყე.

მამასახლისი. არა, შეილოსა, ეგ მაგათი საქმე არ არი. მაგას მე «ლეპორტით» ვაცნობებ და მერე...

აზრია (მამას.) შენი ჭირიმე, სოსი! ერთი იმიჰ ოხტიდამ მომიყვა და მერე ემ კისერზე დაჰქდიე, შენი სიკეთე. ი-ი-ი! ტა, ტა, ტა! (გულზე ხელს იცემს).

მამასახლისი. შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე ვიცი, რასაც უზამ.

მწერ. ადექით, კაცო, დაღამდაე თითო ლუკმა პური მაინც შევჭამოთ.

1 მსაჯული (შემოდის) ბიჭო, ათან! ახდილი ღვინო არსად გვგულება?

გზირი. როგორ არა-ყე. ეგრე ქვეით გოგიაშვილებთან ჩაიარეთ, მეც იქით წამოვალ.

1 მსაჯული. ქათმებიც ხო იცი, ბიჭო.

გზირი. რატუ არ ვიცი: მთელი დღე სოფლიჭთვეინ დავაღამეთ და ქათმებსაც არ დაგვიკლეგნ. გასწით თქვენა და მაგისი მე ვიცი (გავლენ და გზირიც თან მიჰყვება).

ეჭვ. მ—ძე

შესახებ რეცენზიებისათვის. არ იქნება ურიგო, რომ ჩვენმა წიგნების მბეჭდველებმა მხედველობაში მიიღონ ეს გარემოება და თითოეული წიგნი ახლად დაბეჭდილის გამოცემისა მოაწოდონ ხოლმე.

*** გაზ. „ყარსი“ სწერს, რომ ამ დიდ-მარხვაში ბ-ნი ვ. თაყაიშვილი, კაპიტანი შტაბისა, წაიკითხავს აფიცერთა საზრანიაში ექვს ლექციას რუს-ოსმალოს ომს შესახებ ამიერ-კავკასიაში. ლექტორი მოუთხრობს მსმენელთ ამ ომის ამბავს დასაწყისიდგან ზიგინის ბრძოლამდეო.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, 9 თებერვალს იქაურ დედათა სკოლის სასარგებლოდ ბალი ყოფილა, რომელზედაც ყარსის „ბანოვანნი კეკლუცნი“ დასწრებიან სხვა-და-სხვა გვარად მორთულნი. გაზეთი დაწვრილებით აწერს ტანისამოსს და სამკაულს იმ ქალებისას, რომელთაც უფრო მიიქციეს ყურადღება დამსწრე საზოგადოებისა, და ბოლოს დიდის ქებით იხსენიებს „ტანცების“ დირიჟორს, ბ-ნს ი. ლ. მუსხელაშვილს, რომელმაც დიდად გაამხიარულა და განაცხოველა მოხერხებულის დირიჟორობით ზემოხსენებული საღამოვო. სულ ოც-და-ათ თუმნამდე ფული დარჩენია ამ საღამოზედ დედათა სკოლას.

*** თებერვლის 16, ღამის ცხრა საათზე, მთის ქუჩაზე, ხოსროევის სახლთან, იპოვნეს ორის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** ამავე დღეს პოლიციის მეშვიდე ნაწილში, ახალ-სამების ქუჩაზე, ბაყანოვის სახლში, ნახშირის ბუღისაგან გარდაიცვალა სათადარიგო ჯარის-კაცის ბოლდანოვის მეუღლე.

## სამკურნალო საზოგადოების კრება

16 თებერვალს

გუშინ-წინ სამკურნალო კრებაზედ პირველად წაკითხულ იქმნა ექიმის გრიგორიევის საბრალმდებლო ოქმი ხუდადოვის წინააღმდეგ. ბრალმდებლად იყო ექიმი გრიგორიევი, იმის თანაშემწედ ექიმი რეიხი. ექიმმა გრიგორიევმა ასე დაიწყო თავისი ბრალდება: ძმებო, თავი გვეჭრება, სახელი და დიდება გვეკარგება, და ვის მიზეზით? თვით ჩვენის ღვიძლის წევრის ექიმის ხუდადოვისა? არიქათ! თავს გაუფრთხილდით და ახლავე შეუდექით იმის გადაწყვეტას, ღირს არს თუ არა ამას იქით ექიმი ხუდადოვი ჩვენთან ერთად სულთქმისა, ერთად ყოფნისა, ერთად ბჭობისა! შემდეგ ამისა ექიმმა რეიხმა დასძინა: მე ვგონებ, რომ ექიმი ხუდადოვი იმ დროს, როდესაც „Нов. Обоз.“-ეში მიჰქონდა თავისი წერილი, ჩვენის თავის მომჭრელი და დამამცირებელი წერილი, თავის ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყო და ამიტომ, თუ არ შეინანა და ის თავისი წერილი არ გადაასწორა, ვთხოვ საზოგადოებას, თავის სახელის აღსადგენად დაუყოვნებლივ სასტიკი სამდურავი გამოუცხადოს დამნაშავესაო! შემდეგ ამისა სცენაზე გამოვიდა მოსამსახურე და შემოიტანა ის უგეთური «Нов. Обоз.»-ეს ნომერი, რომელმაც ამდენი ალიაქოთი ასტეხა, და ბრალმდებელმა ექიმმა გრიგორიევმა ხმამაღლა წაიკითხა ხუდადოვის წერილი. როგორც წერილიდგან სჩანს, ექიმ ხუდადოვს სამკურნალო საზოგადოებაში შეუტანია პროექტი, რომ ღამ-ღამე ექიმებმა მორიგი დარაჯობა გასწიონ, რათა გაჭირებულ ავადმყოფის ჭირისუფალმა, რა დროც უნდა იყოს, მაშინვე იპოვნოს ექიმიო, მაგრამ ეს პროექტი არც კომისიას შეუწყნარებია და არც კრებას.

წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო აჩოჩქოლდა კრება და ხმის უმეტესობით გადასწყვიტა: რადგანაც ეს საქმე ფრიად მძიმეა და განსაკუთრებულის მნიშვნელობისა, ამიტომ ცალკე კრებაზედ განვიხილოთო.

ექიმმა არტემიევმა წარუდგინა კრებას იმ ლორწოს მიკროსკოპიული პრეპარატები, რომლის მდინარეობაცა აქვს ქალს მშობიარობის შემდეგ, და ამტკიცებდა, რომ თუ ქალი ჯან-მრთელია, მდინარების პატარა კვერცხუკები (КЛѢТОЧКИ) ესრედ წოდებული ლეიკოციტები არიანო, ე. ი. ის თეთრი კვერცხუკები, რომელიც სისხლში სცურავს და რომელიც საშვილოსნოს დამსკდარ პატარა წვრილ მილებიდგან გამოდისო. თუ ძმრის სიმჟავე დაასხით ამ გვარ კვერცხუკას, შეიკუმშება და პირველის შეხედვით გეგონება, თითქო შიგ რაღაც გული ძევსო, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ცოცხალ კვერცხუკას არავითარი გული არ უნდა ჰქონდეს, არამედ, ძმრის ანუ სხვა სიმჟავის ზედმოქმედებით, კვერცხუკას ეგრედ წოდებული პროტოპლაზმა (ცილისაგან შემდგარი ლორწო) შეიკუმშება და გულად, ჩემის ფიქრით, იმას მივიჩნევთ ხოლმეო. რაც შეეხება ავადმყოფ ქალებს, იმათს კვერცხუკას რომ ძმრის სიმჟავე დავასხათ, სრულიად არ შეიკუმშება და გული არ გამოჩნდებაო. მაშასადამე, მათს ნამდინარევში სულ დამპალი კვერცხუკები არიან, გარდა ამისა, კვერცხუკასა და კვერცხუკას შორის რაღაცა წვრილი წინწკლები სჩანს, მაგრამ კაცს ვერ გამოუცვნია ჯერ, თუ რა არის ეს წინწკლები, უბრალო პროტოპლაზმის მარცვლებია, თუ ბაქტერიებიო?

ამაზე დოქტორ ლუნკევიჩმა უპასუხა:

1) როგორც თეთრ კვერცხუკებში, ისე ეგრედ წოდებულ დამპალ კვერცხუკებში მეცნიერებმა აღმოაჩინეს გული. თუ კრებას ჰსურს, ჩემის აზრის დასამტკიცებლად, თეთრისა და დამპალის კვერცხუკების პრეპარატებს წარვუდგენ, როცა მოითხოვს, და დავუმტკიცებ, რომ მათ შორის ჯერ არავითარი განსხვავება არ აღმოჩენილა.

2) ვინ არ იცის ეხლა, რომ ყოველ კვერცხუკასა აქვს გული. თუ კვერცხუკა პირდაპირ გავსინჯეთ, მაშინ გულს ვერ დავუნახავთ, რადგანაც გარს შემოხვეული პროტოპლაზმა ჰფარავს. თუ ძმრის სიმჟავე დავასხით და შემდეგ დავათვალიერეთ, მაშინ გარეგანი პროტოპლაზმა გადნება და გული გამოჩნდება. აქ შეკუმშვა რა სახსენებელია!

3) ნუ თუ ეხლანდელ მიკროსკოპის შემწეობით ბაქტერიებისა და უბრალო მარცვლების ერთმანეთისაგან გარჩევაც ძნელია, როდესაც ბაქტერიებ შესახებ მთელი ტომები იწერებაო?

შემდეგ მკურნალმა შურიგინმა წაიკითხა რეფერატი თიანეთის ბანაკის თაობაზედ. სასაცილო ამ რეფერატში ის იყო, რომ რეფერენტმა არ იცოდა, ჰქონდათ თუ არა ჯარის-კაცებს პირის საბანი ჯურჯელი, ან რა ნაირად სწმენდავდნენ საჭიროების ალაგს და იმის წამხდარს ჰაერს. არ იცოდა აგრეთვე, თუ საიდგან დაჰქონდა მაგალითებრ ქართველ რაზმს წყალი, მდინარე იორიდგან, თუ სხვა ისეთ წყაროდგან, რომელიც იორს ღირსებით ჩამოურჩებოდა? ვერ იყო აგრეთვე რიგიანად შედგენილი ავადმყოფების სია. ვერ იყო დაწვრილებით აღწერილი, ჯარს რამდენი და რა ღირსების საჭმელი ეძლეოდა. რეფერენტი, როცა შეცდომას რასმე შენიშნავდნენ, თავს იმითი მართლულობდა, რომ შეცდომით კი არ მომსვლია, იმიტომ მომივიდა, რომ ჩემი სათქმელი კარგად ვერ გამოვსთქვი, თუმცა ყველაფერი დაწვრილებით ვიციო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მე-XXVI)

განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი, სამეფოსათვის საქართველოისა.

ესრეთი სათაური აქვს იმ ხელთ-ნაწერ რვეულს, რომელიც მრავალ სხვა წიგნებთან ერთად შესწირა „წერა-კითხვის საზოგადოებას“ პატივცემულმა იასონ ცაციშვილმა. ხელთ-ნაწერში მოყვანილია ზოგიერთი ფრიად საყურადღებო ცნობა შესახებ ბატონიშვილთა და საქართველოს მდგომარეობისა მე-XVIII საუკუნის გასულს. სამწუხაროდ, ეს ხელთ-ნაწერი დედანი-კი არაა, არამედ ერეკლეს განწესების პირი, როგორც ამას გვაუწყებს რვეულის ბოლოში მოქცეული მონაწერი. ჩვენ ვეჭობთ, რომ ხსენებული „განწესება“ მართლაც ნამდვილად ერეკლეს-მიერ იყოს დაწერილი და არა შემდეგ შედგენილი. მით უმეტეს სარწმუნოა ჩვენი ეჭვი, რომ ერეკლეს შვილთა შორის, მამის სიკვდილის შემდეგ დიდი უთანხმოება ჰსუფევდა და ერთმანერთს მეფობას ეცილებოდნენ... და მამის სახელით თავის საქციელის გამართლება უნდოდათ.. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ მთელი განწესებანი განგებ მოგონილი არ არის ის მუხლები მაინც სხვათაგან ჩატანებულია, რომელნიც მეფობის რიგსა და წესს განსაზღვრავს. განწესების პირი გადუწერია და რუსულადვე უთარგმნია ბატონიშვილს მირიანს ქრონიკონსა ჩღფთ (1799) წელს, ქალაქსა ტფილისს, „სადედოფლოს ავლაბრის სასახლეში“; და აგრეთვე ნათქვამია, რომ დედანი რომელიცა შეადგინა ერეკლემ 1791 წელს, დაიკარგა აღა-მაჰმად ხანისმიერ ტფილისის დარბევის დროსაო. შემდეგ ამისა, სხვა ხელით, მოყვანილია „პირობაები, რომელიც მიუცია აწინდელსა მეფესა საქართველოისა გიორგის ძმებისათვის თვისისა, მეფის ძეთა იულონისა და ალმასხანისათვის“. ამ სახით ამ ერთ რვეულში მოქცეულია 58 მუხლი ერეკლეს „განწესებანი“-სა და 8 მუხლი გიორგის „პირობებისა“.

განწესებანის ხუთი მუხლი შეადგენს წინასიტყვაობას. ერეკლე ამბობს, რომ ეს განწესებანი მე თავით ჩემით დავსწერეო. არავინ ჩამაგონა, არავინ მომექომაგაო. მეხუთე მუხლში მეფე მიჰმართავს ძეთა თვისთა, თავადთა, სამღვდელოთა და სხ. ამ სიტყვებით:

„საყვარელნო შვილნო ჩემნო, და სხვანო სამღვდელონო და საეროვნო მამანო, და ძმანო, და შვილნო, და მეგობარნო ჩემნო! ჩვენ საქართველოს კაცნი ვართ და ჩვენის ქვეყნის სამართალს ჩვენ ვერ დავაგდებთ და არც შეიძლება; და ბევრმაც რომ მოინდომოს ძალიან გარჯა მოუნდება და წელიწადებიც ბევრი გაივლის, რომ სხვა რიგი სამართლის ჩვეულება ჩამოაგდოს... საყვარელნო ჩემნო, ერთობით ზემოხსენებულნო! თუ მე ასე არ გამესინჯა და ასე არ გამერიგებინა ჩემის შვილებისათვის და თქვენთვის ეს საზოგადო სიმტკიცე მშვიდობისა, სიყვარულისა და ერთობისა, არ განმეწესებინა და თვითეულის წილი და რიგი ახლავე არ მიმეცა და არ გამეჩინა: ან ერთმანეთის სისხლის ჩამოვარდნის მიზეზი შევიქნებოდი და ან დაკარგვისა სულით და ხორცით მიზეზად მე დავიდებოდი... მარჯულ და მარცხულ არ მიმიხედავს და არც ერთისათვის არ მამიკრძავს... სამღთოსა და ცხოველ-მყოფელ სულისათვის, რაც ძალ-მედვა, იმისის თხოვნით და ვედრებით დამიწერია ჩემის შვილების გზების ჩვენება და ეს განწესება. ყველასათვის თავთავისი მიმიცია და გამირჩევია: წილები გაყრისათვის და გაუყრელობისათვის, მიზეზნი ჭეშმარიტნი და ნიშნები განცხადებულნი მათის ყოვლის სულიერისა და ხორციელის ქცეულებისა და მოქმედებისა“...

შემდეგ ამისა (მე-8 მუხლიდამ) ბოლომდე მეფე ერეკლე შეეხება შვილების გარიგებისა და განწესების საქმეს. მეფე არიგებს შვილებს, რომ ძმურად იცხოვრეთ, ნუ გაიყრებით, ერთმანეთი გიყვარდეთ, მტრობა, შური, ღალატი ნუ იყოფიან თქვენთანაო. პირ მტკიცეობა თქვენ შორის მარადის უნდა იყოს, თორემ მტერი ადვილად დაგძლევთ და ქვეყანასაც აგიკლებთ და სარწმუნოებასაც შეგიგინებთო. სამეუფო კარის ეკკლესია სამეფოში სამი არისო: ტფილისისა, თელავისა და გორისა, მოიხმარეთ იგინი ერთად; მათს ქონებას ნუვინ თქვენგანი ნუ მიისაკუთრებსო. დიდი დღესასწაულის დღე ერთად გაატარეთ ერთს დარბაზშიო. ციხეებიც საერთოდ უნდა დაიცვათ. ციხეები მაგრებია. შვიდს ციხეს ტფილისისა, გორისა, სურამისა, წირქლისა, ანანურისა, ბოჭორმისა და გრემისა ნარიყალი *) აქვსო და მათი გამაგრება და დაცვა ადვილიაო. ერთმანეთს შეეწიეთ ლხინსა და მგლოვიარებაშიო. საჭიროა, რომ იზრუნეთ „შვილების მეცნიერებისათვის, რომ ისწავლიდნენ ღრამატიკას და რიტორებასა, და ფილოსოფიასა და ლოღიკასა და დაწერილსა მწიგობრად სარწმუნებელნი იყვნენ; და თუ ამაზე მეტს მეცნიერებაში შევლენ და ისწავლიან, ის უმჯობესი იქნება, მაგრამ უამისობა-კი არ იქნება; მე ჩემი მოვალეობა-კი მომისხლეტია და ახლა თითონ იციან. თავადებს ის მეცნიერება უფრო გამოადგებათ, სხვისაგან რომ ისწაელონ“.

შემდეგ მეფე ერთს მუხლში შეეხება მეფობის რიგ-წესსა. ძველის დროიდგან მოკიდებული საქართველოში ისეთი წესი იყო, რომ მამა-მეფის სიკვდილის შემდეგ მეფის ტახტი მის უფროსს შვილს ეკუთვნოდა ხოლმე. ახლა ეს წესი ერეკლემ შესცვალა. მეფე აწესებს შემდეგ:

„მეფობა პირველად უფროსს ძმას, მეორედ მეორეს, მესამედ-მესამეს, მეოთხედ—მეოთხეს, მეხუთედ—მეხუთეს, მეექსედ-მეექვსეს (მეფეს ექვსი ვაჟი ჰყვანდა) და მასუკან კიდევ მეორედ უნდა მოუბრუნდეს და პირველის ძმიდამ კიდევ ისე ჩაეიდეს მეექვსე ძმამდის, ყველა ძმის შთამომავლობამ ისე უნდა ჩაირიგონ მეფობა“.

შემდეგ დაწვრილებით ნაამბობია, რომ თუ ერთი ძმა ან სნეული იყოს ან იმის შვილნი სამეფოდ არ ვარგოდნენ და ქვეყანამ მასში სამეფო ნიჭი ვერ აღმოაჩინოს, მაშინ მეფობა მეორე ძმას, უფრო ნიჭიერსა და გამოსადეგს, უნდა გადასცესო.

წიგნში კიდევ ბევრი სხვა საყურადღებო ცნობაც არის...

ესომ

*) სიტყვიდამ რიყე და აქედგან ტფილისის ციხის წოდება „ნარიყალა“.

## უცხოეთი

გერმანია. 8 თებერვალს დაიწყო გერმანიაში არჩევანები დეპუტატების რეიხსტაგისათვის. სულ ასარჩევი იყო 397 კაცი. დღემდე მხოლოდ 117 კაცი იქმნა არჩეული. მათ შორის დიდი წილი სოციალისტები არიან. ამბობენ, რომ ახალს რეიხსტაგში, თუ არ მეტი, 40 სოციალიტი მივა დეპუტატადაო. ძველს რეიხსტაგში-კი სოციალ-დემოკრატები ძალიან ცოტანი იყვნენ. აი რიცხვი სხვა-და-სხვა დასის დეპუტატების ძველს რეიხსტაგში: შუაგულისანი 101, ნაციონალ-ლიბერალები 97, კონსერვატორნი 84, იმპერიის დასისანი 40, ელზასელი 15, პროგრესისტი 33, სოციალისტი 15, პოლშელი 13, ველფი 4, დანიელი 1 და სამიც გაურკვეველის მიმართულებისა.

არჩევანები გერმანიაში სამს წელიწადში ერთხელ ინიშნება. უკანასკნელი არჩევანები იყო 1887 წელს. თითოეულს ნახევარ მილიონს მცხოვრებლებზე ერთი დეპუტატია ასარჩევი გერმანიის კონსტიტუციის ძალით. წინანდელს რეიხსტაგში, რომელიც 1884 წ. იყო ამორჩეული, უფრო ბევრნი იყვნენ სოციალისტები. ძველს რეიხსტაგში მათი რიცხვი შემცირდა, იმიტომ-რომ თავადმა ბისმარკმა ტყუილი ხმები გაავრცელა, ომი მოელის გერმანიას საფრანგეთთანაცა და რუსეთთანაც ერთსა და იმავე დროსაო. ქვეყანამ იფიქრა, რახან ასეა, სჯობს ეხლა შინაური საქმეები დროებით მივივიწყოთ და ისეთი დეპუტატები ავირჩიოთ, რომელნიც უფრო გარეშე საქმეებს უყურებენ და სამშობლოს მტრებს პასუხს მისცემენო. ასეც მოხდა მაშინ. წრევანდელი არჩევნები-კი სულ სხვა გარემოებათა შორის სწარმოებს. სამმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ ომი არ ატეხილა და ახლაც თითქმის არავითარი შიში არ არის ომიანობის ჩამოვარდნისა გერმანიისათვის. ამიტომ შინა საქმეთა გადაწყვეტამ მიიქცია უმრავლესობის ყურადღება. ამ საქმეთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მუშათა საქმის გადაწყვეტას. ამ საქმეს თავის მფარველობას უწევს თვით იმპერატორი. სწორედ არჩევანების წინად გამოაქვეყნა იმპერატორმა თავის რესკრიპტები მუშა ხალხის მდგომარეობის განკარგებისა და საერთაშორისო კონფერენციის მოწოდებისა ამავე საქმის განსახილველად. ამბობენ, რომ რესკრიპტების გამოქვეყნება საარჩევანო ხერხი იყოო. მთავრობას იმედი ჰქონდა, ვითომ იმპერატორი ამ ხერხით მუშების გულს მოიგებდა და სოციალისტებს ისე აღარ ენდობოდნენ არჩევნების დროსაო. მაგრამ ქვეყანამ სხვაფრივ განსაჯა. რა-კი იმპერატორიც ჩვენი მფარველი ყოფილაო, — იფიქრა მუშა ხალხმა, — რა-კი შინა საქმეებს უნდა მიექცეს ყურადღება რეიხსტაგისა და ამ საშინაო საქმეებში ჩვენი ყოფა და მისი განკარგება უპირველესიაო, მაშ დეპუტატებიც ისეთი უნდა ამოვირჩიოთ,

რომელთაც უფრო გული შესტკივათ ჩვენთვისაო. ეს არის მიზეზი, რომ წრევანდელს არჩევანებზე ასე გაიმარჯვეს სოციალისტებმა. სოციალისტები იმარჯვებენ და ბისმარკი დიდს დალონებაშია. დაიწყო თუ არა არჩევანები, გაზეთებმა მოუხშირეს წერას, რომ კანცლერი სამსახურიდამ გამოდის, უნდა სულ თავი დაანებოს სახელმწიფოს მოღვაწეობასაო. გუშინწინდელმა დეპეშამ შეგვატყობინა, რომ ბისმარკი უცდის არჩევნების გათავებასაო. თუ არჩევნები და აგრეთვე ხელ-მეორე არჩევნები მთავრობის მომხრე დასისათვის საზარალოდ გათავდა, ბისმარკი მაშინ გადასწყვეტს, დარჩეს კიდევ თუ არა სამსახურშიო.

— დიდი ქება ულაპარაკნია გერმანიის იმპერატორისა, როგორც სწერენ გაზეთები, კარდინალს ჰენრი მანინგს უკანასკნელის რესკრიპტების გამო. სწორედ ბრძენი კაცი ყოფილა ვილჰელმი, რომ აგრე ზრუნავს იმათთვის, ვინც თავის ჯანითა და მარჯვენითა სცხოვრობსო. ყველგან ევროპაში დიდად საშიშია უმწევრეალესი სიღარიბე დღიურ მუშებისა, რომელნიც ჯამაგირით უჭირავთ დიდის საქმეების პატრონთ. მუშები დიდხანს მუშაობენ ყოველ-დღე, მუშაობენ ამას გარდა დედაკაცნი და პატარა ყმაწვილები, ფასი მეტად მცირეა და ნაკლები, არავინ მათ შორის დარწმუნებული არ არის, რომ ხვალაც ექნება სამუშაო, ცილობა დიდია. ყოველივე ესე და აგრეთვე ის გრძნობა, რომ ოჯახის არსებობა გაძნელდა, მუშა-კაცს ართმევს ყოველსავე ღონეს კაცური ცხოვრება იქონიოს. როგორ უნდა შეასრულოს ამ ოჯახის პატრონმა თავისი საოჯახო მოვალეობა, რომელიც დღე და ღამეში 15 და 16 საათს მუშაობაში ატარებს? ან როგორ შეუძლიან შეასრულოს მოვალეობა დედისა იმ დედაკაცმა, რომელიც იძულებულია მთელი დღე სხვაგან იყოს სამუშაოდ? ცხადია, რომ ასეთს ყოფაში ცოლ-ქმრობა, ოჯახის არსებობა შეუძლებელია, კაცობრიობის ცხოვრება-კი დამყარებულია ერის ოჯახობრივს არსებობაზედ. რა უნდა მოუვიდეს შენობას, როცა საძირკველი მისი ასე შერყეულია? ამიტომ მგონია, რომ იმპერატორი ვილჰელმი ამ შემთხვევაში სწორედ ისე მოიქცა, როგორც შეეფერება ჭეშმარიტსა და შორსმხედველს სახელმწიფო მოღვაწეს.

## წვრილი ამბები

გერმანიის გაზეთებში შემდეგი ანეგდოტია მოთხრობილი პრინცის გიორგის შვარცბურგ რუდოლ შტადტელის შესახებ პრინცისა, რომელიც ამ ორის კვირის წინად გარდაიცვალა. როცა გერმანიის სამეფო შეერთებულ და გაძლიერებულ იქმნა, ზოგიერთი გერმანიის მოკავშირე მეფე შეიკრიბა პრუსიის სამეფო სასახლის დარბაზში და იმპერატორ ვილჰელმ I.ის ნახვას ელოდნენ. პრინცი შვარცბურგ-რუდოლ შტადტელიც მივიდა თურმე, მეფეები რომ ნახა თავ-მოყრილი იმპერატორის მოლოდინში, არაფრად ეჭაშნიკა და თავის კმაყოფილების განსაცხადებლად წამოიძახა: „გამარჯობათ ქვეშევრდომო მეფენოვო". ეს ხუმრობა გადასცეს იმპერატორს, რომელმაც საწყენად მიიხნია და მაგიერის გადახდა მოიწადინა. ერთხელ ემსში იმპერატორი შეხვდა თურმე პრინცს. პრინცმა მოწიწებით თავი დაუკრა იმპერატორს და ქუდი მოუხადა. იმპერატორმა შესძახა თურმე: „დაიხურე ეგე გვირგვინი, ხელმწიფეო, ცივი ნიავიაო".

— ინგლისური გაზეთები გვაუწყებენ, რომ ამას წინად ინგლისელებს უნახავთ მესოპოტამიაში შესანიშნავი ნაშთი, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, ბაალის ტაძრის საძირკველს შეადგენდაო. აღმოუჩენიათ აგრეთვე ისეთი აგურები, რომელსაც 3750 წ. ქრ. წინ. წარწერა ჰქონია. ურაში უნახავთ მთელი წიგნი სავსე აგურებისა, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა უნდა ჰქონდესო.

— ამერიკაში, ჩიგუაგუას ჩრდილოთ-დასავლეთით, სიერრა მადრას გალთების შუა, უნახავთ მკვდის-მკვდი ქალაქი, რომელიც კლდეში ყოფილა გამოჭრილი. ამ მთის ადაგს არსაიდამ მისასვლელი არა აქვს და დღემდის არავის უნახავს. ეს შესანიშნავი ქალაქი თავისი სიძველითა და განათლებით მექსიკისა და პერუს სახელმწიფოებს არ ჩამოუვარდება თურმე. ყველა სახლი კლდეშია გამოჭრილი. კიბეები და ჩარდახები მშვენიერად არის გამოყვანილი და ზოგან აგრეთვე კლდეებში მშვენიერი გამოქანდაკებული ადგილებიაო.

— ინგლისელები, როგორც სჩანს, წყალში მარტო დარდისა და კაეშნისაგან-კი არა ცვივიან, არამედ სანაძლეოს გულისათვისაც. მაგალითებრ, ვიღაც ტონ ბერნსი სანაძლეოსთვის რუნ-კორნის ხიდიდამ გადამხტარა წყალში, ცურვით 54 ვერსი გაუვლია ლივერპულამდე და მაშინვე ლონდონს მისულა. აქაც გადამხტარა წყალშივე ხიდიდგან, ზურგზედ დაცემულა, წამოსულა და სასლშივე უვნებელი დაბრუნებულა.

## დეპეშა

16 თებერვალი

პეტერბურგი. გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი ნება რთვა, რომ რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლა-დამთავრებულთ ნება ჰქონდეთ ატარონ განსაკუთრებული ოქროსი, ან ვერცხლისა და ოქროში დაფერილი ნიშანი მთავრობის მიერ დამტკიცებულ სურათისებური. ეს ნიშანი სწავლის დამთავრებისა იმ ალაგას არ უნდა ატარონ, სადაც ორდენებს ატარებენო.

სოფია. სტამბულოვს ამ ახლო ხანებში განუზრახავს დაიწყოს მოქმედება და როგორმე მოახერხოს, რომ დიდ სახელმწიფოთ პრინცი კობურგისა ბოლგარიის კანონიერ მთავრად შეაწყნარებინოს.

17 თებერვალი

კონსტანტინეპოლი. სომეხთა პატრიარხმა აშიკიანმა გარდასცა გუშინ ოსმალეთის მთავრობას თხოვნა, რომ აღდგენილ იქმნას სრულად და სავსებით უფლებანი და უპირატესობანი სომეხთა ეკკლესიისა და შემოღებულ იქმნას ყველა ის რეფორმები, რომელიც მოხსენებულია ბერლინის ხელშეკრულობაშიო.

ბერლინი. გერმანია სცდილობს დაითანხმოს ემინ-ფაშა, რომ მან იტვირთოს წარმომადგენლობა აღმოსავლეთის აფრიკისა.

რეიხსტაგი არ იქმნება დათხოვნილი, თუნდა უარ-ჰყოს კიდეც სოციალისტების საწინააღმდეგო კანონპროექტი. მთავრობას განზრახვა აქვს იკმაროს მხოლოდ სისხლის სამართლის საზოგადო კანონები.

პეტერბურგის ბირჟა, 16 თებ. რვ.

| | მყიდველთა-სა. | | გამყიდველ-თასა. | | გარიგე-ბისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 31 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 146½ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — | | — | „ | 37½ | |
| —მეორისა . . . . | 226¾ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . . | — | „ | — | „ | 217,37 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყჟ (1890) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7398.
ძველი ინდიქტიონი მე-14
ახალი ქორონიკონი—უპბ=182 წელიწადია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე 4.
ამისი ქორონიკონი მე-46 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1890 წლის ზედნადებია—17.

თებერვალი 28 დღით არის

18 დღე კვირა. ქართველი წმიდათა შორის მამისა ლეონ, რომთა პაპისა. კათოლ. წმ. სამსონისა, მაქსიმესი და კონსტანციისას სომეხ. წმ. კონსტანტინეპოლში მომწყვდართა, 7 დღე დიდმარხვისა. საქართველოში შემოიღეს ახალი წესდებულება სასამართლოსი 1868.; გაიხსნა ამავე წელს თბილისში საქალაქო საავადმყოფო. მზე ამოდის 6—34, ჩადის 5—12, ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 10 დღისაა.

19 დღე ორშაბათი. ქართველი წმიდისა მოციქულისა არხიპისა. კათოლ. წმ. კონრადისა გობინისა და გოდფრიდასი. სომეხ. 8 დღე დიდმარხვისა. გრ. ზუბოვი დანიშნეს მხედრობის მთავარ სარდლად აღა-მაჰმადხნის წინააღმდეგ 1796 წ. ბატონ ყმობის განთავისუფლება აფხაზეთში 1871 წ. მზე ამოდის 6—32, ჩადის 5—53. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—12, მთვარე 11 დღისაა.

## განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 24 თებერვალს 1890 წ., დილის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნოდა მატრონა ანდრიას ასულს კოპშოვისას და რომელიც იმყოფება ტფილისის 1 ნაწილსა და 1 განყოფილებაში, მოსკოვის ბალკაში. ეს მამული ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლია ფლიგელითურთ. მიწის ზომა 30 ოთხი-კუთხი საჟ. აქვს. მამულის საზღვრები: ჩრდილოეთით უძევს გაბაშვილის მამული, აღმოსავლეთით—ობრიევისა, სამხრეთით—სახლი გერასიმენკოსი და დასავლეთით — ანდრეევისა. ვაჭრობა 870 მან. და 31 კაპ. დაიწყება. მსურველს შეუძლიან მამულის შესახებ ყოველივე დაწვრილებული ცნობა შეიტყოს ამავე ბანკში ყოველ დღე.


НАСТОЛЬНЫЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ БРОКГАУЗА

изданія А. Гарбель и К-о.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ москвѣ, въ магазинахъ: Дейбнеръ [Кузнецкій мостъ] Якобсонъ (Неглинная), „Сотрудникъ Школъ" (Воздвиженка), Карбасниковя Моховая и въ его отдѣленіяхъ въ Петербургѣ и Варшавѣ], Ильинъ Фену и К. (Петровскія линіи и въ его отдѣленіи въ Потербургѣ) и въ конторѣ Гиляровскаго (Петровка, Столешниковъ пер., д. Карзинкина)

Словарь будетъ выходить въ свѣтъ съ начала 1890 года, отдѣльными выпусками, отъ 2-хъ до 3-хъ листовъ in 40 Всѣхъ выпусковъ предполагается 50.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на всѣ выпуски на лучшей веленевой бумагѣ 12 руб.
„ „ „ „ обыкновенной „ 10 „
„ каждый выпускъ отдѣльно на лучшей бумагѣ 35 коп.
„ „ „ „ „ обыкнов. „ 25 „
Цѣна словаря въ продажѣ (неподписчикамъ): на лучшей бумагѣ—20 руб.
„ обыкнов. „ 15 „

Подписчики по выходѣ всѣхъ выпусковъ въ свѣтъ получаютъ: **карты, рисунки и роскошную папку БЕЗПЛАТНО.**

Вся немецкая печать единогласно и самымъ лестнымъ образомъ отозвалась объ энциклопедическихъ трудахъ Брокгауз такъ между прочими „Neue Freie Presse" говоритъ, что въ настоящее время энциклопедическій словарь Брокгауза необходимъ не только для каждаго образованнаго, но и для всяка о любознательнаго человѣка, ибо даетъ отвѣты на всевозможныя справки по всѣмъ отраслямъ человѣческаго знанія. Словомъ, эта книга—„сама необходимость".—

Словарь этотъ отвѣчаетъ на вопросы: антропологіи, археографіи, археологіи, астрономіи, ботаники, военной науки, всемірной исторій, геогнозіи, географіи, геологіи, гидротехники, зоологіи, искусствъ, коммерческой науки, всеобщей литературы, литографіи. математики, медицины, минералогіи, морскихъ дѣлъ, палеонтологіи, петрографіи, политической экономіи, психо-философіи, финансовой науки, фотографіи, химіи, художественной промышленности. электротехники, эстетики, этнографіи, юриспруденціи и т. п.

Адресъ издателей Почтѣ извѣстенъ. (5—5)




სამეურნეო მაშინებისა და იარაღების საწყობი
გ. ფ. ეკკერტის სააქციონერო საზოგადოებისა
ბერლინში
და სხვა ქარხნებისა აქვს გამართული
ე. ფ. აუფერმანს ტფილისში,
მიხეილის ქუჩაზედ, № 17.

ფოლადის გუთნები

ერთ-სახნისიანი ღრმად-მხვნელი და ბევრ სახნისიანი გუთანი.
სალეწი მაშინა (ცხენით და ორთქლით სატრიალებელი).
მარცვლის გამრჩევი და გამწმენდი მაშინები.
ინგლისური საწიავებელი, გორველის გამომრჩევი და სხვანი.
სამკალი მაშინა.
სათიბი მაშინა

ფოცხები, სათესი მაშინები, საროში და სხვანი.

რაც შარშანდელ გამოფენიდგან მაშინები დარჩა, იმაში მყიდველს მანეთზე ორი შაური დაეთმობა უწინდელ ფასიდგან. (50—2)

სასტუმრო
„პურ-ღვინო"

(გოლოვინის პროსპექტზედ, თ. მუხრან-ბატონის სახლებში, კლუბს ქვეშ)

მუდამ დღე მზადდება ყოველ გვარი, ადგილობრივსა და ევროპიულს გემოვნებაზედ გაკეთებული, საჭმელი.

იმერულსა და გურულს საჭმელებს ამზადებს საგანგებოდ გურიიდგან მოწვეული მზარეული.

ორი თავი საჭმელი ღირს თითოეულად 12 მანათი. მსურველთ სახლებშიაც ვუგზავნით.

სასმელები: გვაქვს ყოველ ნაირი ღვინო მუხრან-ბატონისა (იმისავე შამპანური ღვინო), კახური ღვინოები საუკეთესო ფირმებიდგან ბოთლი ორ აბაზიდამ, ვიდრე მანეთ ნახევრამდე.

ლუდები (პივო) ყველა ადგილობრივის ქარხნისა, აგრეთვე ადესისა და ჟიგულევსკის ქარხნებიდამ. ყოველ გვარი ტკბილი სასმელი (ლიკიორები) და აზღვარ-გარეთის ღვინოები.

სასტუმროში გამართული გვაქვს განსაკუთრებული საოჯახო ოთახები (ცალკე კაბინეთები).

მოვდის, ადგილობრივს გარდა, სატახტო ქალაქების ზოგი ჟურნალ-გაზეთიც.

ცალკე გამართული გვაქვს ფრანგული და რუსული ბილიარდები*). გვაქვს აგრეთვე ნარდი და ჭადრაკი (შახმატი).

სასტუმროსა აქვს ავეჯით მორთული ოთახები, რომელნიც დღიურად ღირს ათ შაურიდგან მანეთ ნახევრამდე.

ვინც თთვეობით აიღებს, დაეთმობა მთელის ფასის ერთი მესამედი.

სასტუმროს პატრონები: { ი. მამინაიშვილი და ა. თოიძე.

*) რუსული ბილიარდი კავკასიის გამოფენაზე შევიძინეთ. ამ ბილიარდმა პირველი ჯილდო მიიღო. (25—8)


Доз. ценз. Тиф лисъ 17-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე